წალენჯიხა 12 ოქტომბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N5

2022 წლის 12 ოქტომბერს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დარეჯან დადიანი, მანანა ჭანია, დათო მესხია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია.

კომისიის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში, საომარი მოქმედებების დროს, დაღუპული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მკვიდრის ედიშერ კვარაცხელიას ხსოვნას.

დაწყების დრო: 10:00-სთ.
დასრულების დრო: 11:00-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **გიორგი ჭანია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ის დირექტორი

2.ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **თამარ კვარაცხელია,** ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ის დირექტორი

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნულზე ისაუბრა ცენტრის დირექტორმა გიორგი ჭანიამ. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ახორციელებს ქ.წალენჯიხასა და ქ. ჯვარში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის პროგრამას 224 ბენეფიციარზე. მათ ემსახურება 9 თანამშრომელი, 3 თანამშრომელი კი (დირექტორის ჩათლით) ხელმძღვანელობას უწევს ცენტრის ადმინისტრირებას. ასევე დაემატა სოციალურად დაუცველი თანამშრომლები. კომისიის წევრმა მაია მიქავამ დასვა კითხვა, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ სოციალურად დაუცველები? რაზეც ცენტრის დირექტორმა უპასუხა, რომ, ძირითადად სოციალურად დაუცველი პირები მუშაობენ კურიერებად.

მომხსენებელმა ისაუბრა კვების პროდუქტების ტენდერების ჩატარების პრობლემებზე, რაც განპირობებულია პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდით. საკრებულოს თავმჯდომარემ, კომისიების წევრებმა დადებითად შეაფასეს ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობა.

მოისმინეს 2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში წარმოადგინა ცენტრის დირექტორმა თამარ კვარაცხელიამ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის 9 თვეში აქტიურად ახორციელებდა დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობას. ეპიდსიტუაცია კონტროლს ექვემდებარება და ეპიდაფეთქებას ან რომელიმე ინფექციური დაავადების მატებას ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. მომხსენებელს კითხვა დაუსვა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ, თუ რა შედეგი მოჰყვა გეგმიურ მონიტორინგს საბავშვო ბაღებში? რაზეც ცენტრის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მონიტორინგის შემოწმებისას ობიექტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საბავშვო ბაღების უმეტესობას ესაჭიროება სამზარეულო ჭურჭლების, თეთრეულის, რბილი და მაგარი ინვენტარის შევსება. მონიტორინგით გამოვლენილი შედეგები კი ეცნობა წერილობით შესაბამის სამსახურს.

საკრებულოს წევრმა მანანა ჭანიამ ისაუბრა უპატრონო ძაღლების კატასტროფულ ზრდაზე მუნიციპალიტეტში, გასაგებია, რომ საკითხი ამ ცენტრის მოვალეობაში არ შედის, მაგრამ რა გამოსავალი შეიძლება იყოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად? რაზეც მომხსენებელმა განუმარტა საკრებულოს წევრებს, რომ მართლაც ცუდ მდგომარეობაშია მუნიციპალიტეტი, ყოველთვე იზრდება ძაღლებით დაკბენილთა და დადორბლილთა მომართვიანობა. ანტირაბიული ვაქცინა, ანტირაბიულ კაბინეტს უწყვეტად მიეწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ექიმი -რაბიოლოგი და პაციენტი იგზავნება ზუგდიდში ელემენტარული მომსახურებისათვის.

ცენტრის დირექტორმა აღნიშნა ასევე, რომ მუნიციპალიტეტის დახმარებით,(3500 ლარი), ჩატარდა გასვლითი კვლევები ცე ჰეპატიტსა და აივ ინფექციებზე, რომელი კვლევებითაც აღმოჩენილი იქნა ცე ჰეპატიტის მატარებელი 3 მოქალაქე. კომისიის წევრმა დათო მესხიამ კითხვით მიმართა მომხსენებელს, მერიიდან გამოყოფილი თანხა (3500 ლარი) სად იხარჯება? რაზეც ცენტრის დირექტორმა უპასუხა, რომ ეს თანხა ნაწილდება იმ თანამშრომლებზე, ვინც კვლევევის ჩასატარებლად გადის, ხოლო სახარჯი მასალა სახელმწიფოსგან უფასო მიეწოდებათ. საკრებულოს თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ გამოთქვა სურვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში, სამედიცინო ობიექტებში, ასეთი კვლევების ჩატარების მიზანშეწონილობაზე.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია